შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

/№438(N)/ 08. 08. 2016 წელი

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ქუჩა ცაგარელი №35 საკადასტრო კოდი №01.10.14.017.021 შპს "ამხანაგობა ცაგარელი 35"-ის კუთვნილებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფუძე-საძირკვლების კონსტრუქციული მდგომარეობის ექსპერტიზა

თბილისი

2016 წელი

შინაარსი

ქ. თბილისი, ქუჩა ცაგარელი_№35-ში შპს "ამხანაგობა ცაგარელი 35"-ის წარმომადგენლის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე. კვლევის მიზანია შევისწავლოთ ფუძე-საძირკვლების სააგარიშო სქემა და არსებულ ტერიტორიაზე კონსტრუქციული პროექტის მიხედვით ფუნდამენტების მდგომარეობა.

არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტის მიხედვით განხორციელებულ იქნა მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების კორპუსის მუშა დოკუმენტაცია. საპროექტო შენობის კონსტრუქციული მახასიათებლები წარმოდგენილია შემდეგი სახით: შენობის ძირითადი და მზიდი სააგარიშო სქემა - მონოლითური რკინა-ბეტონის კარკასული სქემითაა ნაწარმოები. სამშენებლო ნორმატივებისა და ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად შედგენილ იქნა კონსტრუქციული ნაწილი, სადაც გაანგარიშება ნაწარმოებია გამოთვლით პროგრამა LIRA-ზე და კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია მოცემული სააგარიშო სქემის შესაბამისად.

ფუძე-საძირკვლების კვლევა

კვლევის შედეგად შევისწავლეთ აღნიშნული კორპუსის საძირკვლები, რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: პროექტის მიხედვით გეოლოგიური კვლევების შედეგად საძირკვლის ტიპის განისაზღვრა ხიმინჯოვანი. შემოწმების საფუძველზე რკინა-ბეტონის ხიმინჯბი ძირითადი გრუნტის ზედაპირიდან მაქსიმალური სიღრმით ჩაღმავებულია -9.08 მეტრზე და მოწყობილია როსტვერგები. ძირითადი შემკრავი ფილად გამოყენებულია მონოლითური რკინა-ბეტონის ორმაგად არმირებული ფილა, სადაც გამოყენებულია სულფატოვანი ცემენტი ძლიერ აგრესიული წყლების შედეგად და ასევე ხიმინჯებში გაანგარიშებული ბეტონი. ძირითად გამოყენებულია D-14 A-III კლასის არმატურა, გაძლიერებულია კოლონების მონაკვეთებთან ორმაგი არმირებული ბადეები. წარმოდგენილი ფუნდამენტი დაფუძნებულია

გეოლოგიური მონაცემების მიხედვით 4-შრეზე რომლიც ხიმინჯებზე არის დასმული და მაქსიმალური ჩაღმავება შეადგენს 9.08 მეტრს. გამოყენებულია D-25 A-III კლასის არმირება, რომელიც გაანგარიშების მიხედვით განსაზღვრულია გრუნტის საანგარიშო წონაზე და დატვირთვაზე. წარმოდგენილი ფუნდამენტები მდგრადობის თვალსაზრისით საიმედო და დამაკმაყოფილებელია მოცემული გეოლოგიურ პირობებთან და ერთიან კორპუსის საანგარიშო სქემასთან მიმართებაში. კვლევის შედეგად არ არის მოსალოდნელი არათანაბარი ჯდენითი პროცესები და საძირკვლებზე არათანაბარი ძალვების წარმოქმნის პირობა, ვინაიდან არ არის დარღვეული საანგარიშო სქემა და გაანგარიშება ნაწარმოებია ფუძე-საძირკვლების მოთხოვნების შესაბამისად. საძირკველზე გამოყენებულია 300 მარკინი სტანდარტით აღებული ბეტონი B-25 და გეგმარება განხორციელებულია კარკასული დაპროექტების და გადაკვეთების შესაბამისად. მოცემული მდგომარეობის მიხედვით ერთიანი საანგარიშო სქემა სავსებით დამაკმაყოფილებელია და ფუძე-საძირკვლების მდგომარეობა მდგრადობასა და საიმედოობაზე ექვემდებარება დღეისათვის მოქმედ სამშენებლო ნორმატივებს და მოთხოვნებს.

დასკვნა:

ჩვენს მიერ შესწავლილი ზემოთ ხსენებული მრავალბინიანი კორპუსის მზიდი დანიშნულების ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა, წარმოდგენილ საპროექტო მუშა ნახაზებთან და გაანგარიშებებთან მიმართებაში დამაკმაყოფილებელია. კვლევის მიზანი, რომელიც წარმოადგენს ფუძე-საძირკვლების მდგომარეობის შესწავლა ნაწარმოებია დღეისათვის მოქმედი სამშენებლო ნორმატივებითა და გაანგარიშების საფუძველზე, რაც კონსტრუქციული გათვლებითა და საანგარიშო სქემის მიხედვით საიმედო და მისღებია. არსებული მდგომარეობის მიხედვით მზიდუნარიანი ელემენტების რღვევა და კონსტრუქციული სქემის დაზიანება გამორიცხულია, ვინაიდან საძირკვლების ერთიანი საანგარიშო სქემა გაანგარიშებულია და შესრულებულია სრულად, ზემოთ ხსენებული მდგომარეობის და ფუძე-საძირკვლების საანგარიშო ~~მოთხოვნების შესაბამისად.~~

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი: